დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №97 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 ოქტომბრის №303, 2022 წლის 21 ნოემბრის №138648, 2023 წლის 1 მაისის №13964 ბრძანებებით

შპს ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები

2020 წელი

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები ... 3

დანართი №1 5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები.

2. ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიზანია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უზრუნველყოფა თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური სახელმძღვანელოებით, ასევე საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის პოპულარიზაცია.

3. ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკის ისეთი ფონდებითა და რესურსებით შევსებას, რომელიც რელევანტურია უნივერსიტეტში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

4. ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის მთლიანი ბიუჯეტის ნაწილს და მიმართულია უნივერსიტეტის მისიის შესრულებაზე, ითვალისწინებს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის საჭირო საბიბლიოთეკო ფონდებისა და რესურსების განვითარებას და სერვისის გაუმჯობესებას.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები

1. იმისათვის, რომ ბიბლიოთეკა აკმაყოფილებდეს მომხმარებელთა მოთხოვნებსა და ინტერესებს, ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ ხორციელდება საბიბლიოთეკო ფონდის შესწავლა და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე ხდება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ბიბლიოთეკა მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან, ფაკულტეტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან, რომლებიც წარმოადგენენ საბიბლიოთეკო რესურსების მომხმარებლებს. თანამშრომლობის შედეგად, ბიბლიოთეკა მუდმივად იღებს მომხმარებლისგან ინფორმაციას არსებული და საჭირო ლიტერატურის შესახებ, ასევე იღებს ინფორმაციას ამა თუ იმ დარგში ახალი გამოცემების შესახებ, რომლის შეძენის საკითხს ბიბლიოთეკა განიხილავს შესაბამის ფაკულტეტთან და ფონდის დაკომპლექტება-შევსება ხდება სწორედ ამგვარ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. ახალი რესურსის შეძენისას ბიბლიოთეკა, ფაკულტეტთან ერთად, განიხილავს უკვე არსებული ბაზის მდგომარეობას და მოთხოვნის გათვალისწინებით აზუსტებს შესაძენი ეგზემპლარების რაოდენობას.

2[1]. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან არსებული საგანმანათლებლო პროგრამის განახლების/მოდიფიცირების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის ჩამონათვალს აწვდის ბიბლიოთეკას, რის საფუძველზეც ხორციელდება ბიბლიოთეკის ფონდში არსებული წიგნადი ფონდის შესწავლა, ინფორმაციის მიწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის და შესაბამისი ფაკულტეტისთვის. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტთან თანამშრომლობით ხდება წიგნადი რესურსების შეძენა.

3. უნივერსიტეტის პერსონალის გარდა, ახალი გამოცემების შესახებ, ბიბლიოთეკა ინფორმაციას იღებს წიგნის გამომცემლობებისა, თუ გამავრცელებელი ორგანიზაციებისგან, ასევე ავტორებისა და წიგნის მაღაზიებისგან.

4. ბიბლიოთეკის თანამშრომლები რეგულარულად ახორციელებენ განახლებული ლიტერატურისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირებას. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესახებ ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები.

5. უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება მომხმარებელთა აზრის კვლევა საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების საჭიროების შესახებ. გამოკითხვის პროცესში გამოიყენება სტუდენტის და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი, სადაც ინტეგრირებულია უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსთან დაკავშირებული კითხვები (კითხვები იხ. დანართი № 1). გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, ხდება გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს ბიბლიოთეკის რესურსების განახლებასა და გამდიდრებას.

6. ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკური რესურსების მონიტორინგში, ტექნიკური პერსონალის გარდა, ჩართულია ბიბლიოთეკის პერსონალიც. შეფერხების აღმოჩენის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მხარდაჭერისათვის და ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიმართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი აღჭურვილობის გამართულად მუშაობასა და განახლებაზე.

7. ბიბლიოთეკათა შორის აბონემენტის წევრობით, ასევე საბიბლიოთეკო კონსორციუმის წევრობის შედეგად, ევროპის უნივერსიტეტის პერსონალისთვის უზრუნველყოფილია სხვა ბიბლიოთეკების რესურსებთან და ელექტრონულ სამეცნიერო კოლექციებთან ხელმისაწვდომობა.

დანართი №1

კითხვები ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარიდან

რამდენად კმაყოფილები ხართ უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებით?

	ძალიან უკმაყოფილო				ძალიან კმაყოფილი	მიჭირს პასუხის გაცემა	
სივრცე მუშაობისთვის / მეცადინეობისთვის	1	2	3	4	5	0	
ბიბლიოთეკის მუშაობის საათები	1	2	3	4	5	0	
საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების ხელმისაწვდომობა	1	2	3	4	5	0	
ბიბლიოთეკის აღჭურვილობა კომპიუტერული ტექნიკით (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, ასლის გადამღები)	1	2	3	4	5	0	
ინტერნეტის ხარისხი	1	2	3	4	5	0	
ლიტერატურის ელექტრონული ძებნის სისტემა	1	2	3	4	5	0	
ბიბლიოთეკის პერსონალის მხარდაჭერა ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენებაში	1	2	3	4	5	0	

სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა	1	2	3	4	5	0

თუ ბოლო შეკითხვაზე თქვენი შეფასებაა 1-დან 3 ქულამდე, გთხოვთ დაგვიკონკრეტოთ სასწავლო კურსი, სადაც შეგქმნათ ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები:

რა დროს უთმობთ კვირაში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მეცადინეობას? ჩაწერეთ საათების რაოდენობა თუ არ იყენებთ ბიბლიოთეკას საერთოდ, ჩაწერეთ „0“

_____

რამდენად ხშირად იყენებთ ბიბლიოთეკაში არსებულ ელექტრონულ წიგნებს სასწავლო მასალის მოსამზადებლად? მონიშნეთ ერთ-ერთი

ვიყენებ მხოლოდ ელექტრონულ წიგნებს	
ელექტრონულს უფრო ხშირად, ვიდრე ბეჭდურ წიგნებს	
ბეჭდურ და ელექტრობულ წიგნებს თანაბრად	
□ ბეჭდურ უფრო ხშირად, ვიდრე ელექტრონულ წიგნებს	
საერთოდ არ ვიყენებ ელექტრონულ წიგნებს, ვიყენებ მხოლოდ ბეჭდურ წიგნებს	

თუ გაქვთ კომენტარი საბიბლიოთეკო რესურსებზე ან ბიბლიოთეკის პერსონალის მხრიდან მომსახურების ხარისხზე, გთხოვთ გაგვიზიაროთ

_____

ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა ბიბლიოთეკაში საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წიგნი/რესურსი ვერ მოიძიეთ მონიშნეთ ერთ-ერთი

არასდროს	
იშვიათად	
ხშირად	

ყოფილა თუ არა შემთხევევა, როცა ვერ ისარგებლეთ ბიბლიოთეკით, ბიბლიოთეკაში ადგილის არარსებობის გამო? მონიშნეთ ერთ-ერთი

არასდროს	
იშვიათად	
ხშირად	

კითხვები ევროპის უნივერსიტეტის პერსონალისთვის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარიდან

რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ ფორმულირებებს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით

	სრულიად არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	მეტწილად ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
ბიბლიოთეკა აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის ტექნიკით (პრინტერი, ასლის გადამღები, სკანერი, კომპიუტერები)	1	2	3	4	5
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სივრცე მუშაობისთვის საკმარისია	1	2	3	4	5
მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტი ზრუნავს ბიბლიოთეკის რესურსების განახლებაზე	1	2	3	4	5
პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები	1	2	3	4	5
ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია კარგი ხარისხის ინტერნეტით	1	2	3	4	5
საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკის პერსონალი კონსულტაციას უწევს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებაში	1	2	3	4	5
ბიბლიოთეკის თანამშრომელი აკადემიურ პერსონალს აწვდის ინფორმაციას ბიბლიოთეკის რესურსების და სერვისების შესახებ	1	2	3	4	5
ბიბლიოთეკის ფონდში არსებული ლიტერატურა შეესაბამება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს	1	2	3	4	5

იმ შემთხვევაში, თუ ბიბლიოთეკის ფონდში არსებული ლიტერატურის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობა თვენს მიერ შეფასებულია 1-დან 3 ქულამდე, გთხოვთ, მიუთითოთ კონკრეტული პორგრამა

თუ გაქვთ კომენტარი ან რეკომენდაციები ბიბლიოთეკის რესურსებთან დაკავშირებით, გთხოვთ გაგვიზიაროთ

_____